№ 437. კვირა, 25 იანვარი 1896—1898 კვირა, 25 იანვარი, № 437.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
…ლის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე …ღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ… საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
…პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი …… 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ
ამ ნომერთან ყველა ხელის-მომწერთ ქალაქში თუ ქალაქს გარედაც ეგზავნება
კედლის კალენდარი 1898 წ.

ქართული თეატრი
კვირას, 25 იანვარს
ქართულ დრამატიულ დასისაგან ე. ს. მესხისა და დ. ს. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
I
ბაგრატ მეოთხე
ისტორ. დრამა 4 მოქმედ. გადმოკეთებული კ. ს. მესხის მიერ
მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედინაცვალი | ე. ს. მესხი |
| ბაგრატ მეოთხე, იმერეთის მეფე | ბ. გამყრელიძე |
| ქეთევან, ამისი მეუღლე | ქ. გარელისა |
| პაატა ჩხეიძე, ამისი მხლებელი | ბ. გედევანოვი |
| საბა წერეთელი (დიდებულნი თავადნი) | ბ. მჭედლიშვილი |
| ქაიხოსრო აბაშიძე (დიდებულნი თავადნი) | ბ. ადამიძე |
| ვახტანგ, რაჭის ერისთავი | ბ. სვიმონიძე |
| ილარიონ (აზნაურნი) | ბ. კარბელი |
| ზურაბ (აზნაურნი) | ბ. საფაროვი |
| თეოფილე გვიჩია, ტუსაღი | ბ. აბაშიძე |
| მცველი | ბ. თაბაშვილი |

მხლებელნი, შეთქმულნი თავად-აზნაურნი
II
პირველად
ადამ და ევა
ვოდევილი 2 მოქმედ. გადმოკეთებული დ. ს. მესხის მიერ

| | |
|---|---|
| თავადი ახირებულიძე | ბ. ადამიძე |
| ივანიკა | ბ. დ. მესხი |
| … ამისი ცოლი | ქ. კარგარელი |

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი კ. მესხი

მთავარი კანტორა
…აზოვის ზღვაოსნობის საზოგადოებისა
…მით საყოველთაოდ აცხადებს, რომ გემი „ნოვოროსისკი“ მე-…ჩ რეისში, სოხუმიდან ფოთში მოგზაურობის დროს ღამით დეკემბრის 15-დან 16-დე საშინელი ზღვის ღელვის გამო დიდს …ნსაცდელში ჩავარდა და ზოგი ბარგი დაიღუპა, ამიტომ საქო-…ლის მიმღებნი სთხოვენ, რომ წარადგინონ კონოსამენტები (ბა-…ათები) საზოგადოების სააგენტოში და იმავ დროს შეასრულონ …ონისაგან დავალებული წესდებანი მუხ. 415, 416 და მუხლ. …89 დამატ. I მუხ. 592-თან მე-XI ტომისა, წესდება ვაჭრობისა. …გამოკვლევა საქმისა, გამოანგარიშება და სხვა შესახებ დაკა-…გულის ბარგისა მინდობილი აქვს ნაფიც დისპაშერს ოდესის …ვთსადგურთან ლ. ვ. დუბინინს (ოდესა, კანატნი ქუჩა, სახ. № …), რომელსაც უნდა მიჰმართონ იმ საქონლის მიმღებლებმა, …ომელთაც იმ განსაცდელის დროს ზღვაში დაეღუპათ საქონელი …ა საზოგადოთ იმ ღამის ყოველი საქმე და სარჩევარი უნდა მო-…ხსენიოს ზემოდხსენებულ ნაფიც დისპაშერს. (3—2)

…ჩვეულ. კერძო სამკურნალო …ქიმის ნავასარდიანისა.
(…ბაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
…ვადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ …ღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 …საფ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ფ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^1/_2$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პრიტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი $6—6^1/_2$ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.


შლაპის ქარხანა
დავ. გვახარიასი
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი.
იყიდება ყოველ-ნაირი სავაჟო შლაპები
იქვე შეიძლება ძველის გადაახლება იაფად.
ფასი ყველა არსებულ სავაჭროებზე ორ-სამ მანათით ნაკლებია
Шляпная мастерская
Д. Гвахарія

Лорисъ-Меликовс. д. кн. Мухранскаго
Дешевизна, аккуратность и ручательство. (13—13)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
—
იქვე იყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—8)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას, ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫИ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
(Кодоры (Сухум. окр.
Главный складъ въ Батумѣ. (300—299)

იყიდება ყველგან ახალი წიგნი
მ. ა. ბარკალაიას გამოცემა
ზმაკიდურები
ჩვენს მოღვაწეებზე
(საამდროო გამოცანები)
ფასი 15 კაპ.
(30—5)

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში და ზოგან ეკკლესიებში
გამოცემა
მორჩილის რაჟდენ ბარამიძისა
ცხოვრება
ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა
ფასი 5 კაპ. (10—3)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
*Коллекція древностей*
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100 16

## დეპეშები

…აზეთ „ცნობის ფურცლის“ …რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

23 იანვარი

**ბომბეი.** უკანასკნელ კვირას 927 კაცი გარდაიცვალა შავის ჭირით.

**ლონდონი.** ოფიციალური ცნობა. ღენერალ ვესტმაკოტის ჯარს, რომელიც უკან დაიწია და შინკარმარის ქედზე გადადიოდა, მთელმა ჯარმა სროლა გაუმართა; ინგლისის ჯარში დაიჭრა 3 ოფიცერი და 8 დაბალი ჯარის კაცი; ინგლისის ცხენოსან ჯარმა მოიტაცა 200 აქლემი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სჯაა ზღვის შემოსავალ-გასავლის თაობაზე. ჟორესი აცხადებს, რომ ერთს წარჩინებულ მოხელეს ზღვის უწყებისას ტულონში დეპუტატ დელკასესათვის გაუგზავნია რაღაც საბუთი და ამით საიდუმლო გაუმჟ-

ლავენებიათ. ბენარი უპასუხებს, რომ ამის თაობაზედ არავითარი ცნობა არა აქვს, რასაც პეოლტანი მოითხოვს ნდობის აღდგენას მოხელეებზე, რომ ამით წინააღმდეგობა გაუწიონ კანტროლის მოსპობას. ლოკრუა და ქერვილიც ამავ აზრს უერთდებიან; პალატა კენჭს უყრის ამ საგანს და ამტკიცებს 263 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 260 ხმისა, მიუხედავად ბენარის განცხადებისა, რომ პარლამენტისაგან არც ერთი განცხადება კანტროლიორებისა არ იქნება დაფარული. შემოსავალ-გასავალზე კიდევ გრძელდება.

**ნოვგოროდი.** გუბერნიის საერო კრებამ სასურველად დაინახა, რომ საზოგადო განათლების საქმე გამართლდეს და გადასწყვიტა ამ საქმის ფეხზე დასაყენებლად ცალკე თანხა შესდგეს.

# ახალი ამბავი

*** **სახალხო კედლის კალენდარი 1898 წ.** — „ცნობის ფურცლის ნობათი. დღევანდელ ნომერთან ყველა ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთ დაურიგდათ დაპირებული ნობათი «სახალხო კედლის კალენდარი“ 1898 წლისათვის. კალენდარი შეიცავს 32 ფერდს ფერად წამლით დაბეჭდილს. კალენდარში მოქცეულია მეფე ერეკლეს და თავ. ილია ჭავჭავაძის სურათები მოკლე ბიოგრაფიებით. კალენდარში უქმე დღეები წითელ ფერადებით არის დაბეჭდილი და მარხვები შავის ხაზებით არის კალენდარი კერძოდ არსად გაიყიდება.

*** **სახალხო კითხვის გამო აგჯაბარში.** ავლაბარში „საქალაქო სასწავლებლის“ დარბაზში იმართება ყოველ კვირა „სახალხო კითხვა“ იქაურ მოსწავლეთათვის და გარეშენიც ბევრნი ესწრებიან. კითხვის დროს დასწრება ყველას უფასოდ შეუძლიან და ყველას სასიხარულოდ მიაჩნია ეს ამბავი. წარსულ კვირას, ... იანვარს, ჩვეულებრივად გაიმართა კითხვა და ხალხიც ბლომად დაესწრო; კითხულობდნენ რუსულად ერიად სასარგებლო წერილს, „რა სახის არის დედამიწაო“ და შემდეგ ამას სომხურად უთარგმნიდნენ დამსწრეთ.

ამ გარემოებამ იმედი გაგვიცხოველა: სადაა ქართულადაც გადაგვითარგმნიანო, მაგრამ, საუბედუროდ, ქართულად კრინტიც არ დაუძრავთ. საქმე ის არის, რომ ამ დღეს დამსწრე უფრო ქართველობა იყო და სომხობა თუ იყო, იმათ ქართული უფრო ემარჯვებათ, რადგან შინაურობაში თუ ვაჭრობაში, მუდამ ქართულადო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა და ბევრნი გაჯავრებით წამოდგნენ და წავიდნენ. რადგან რუსული ნაკლებ ესმით და სომხური ხომ არავინ იცის...

*** **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია საინტერესო წარმოდგენა. არდგენენ ისტორიულ დრამას „ბაგრატ მეთოხეს“ ეფ. მესხის მონაწილეობით და ახალს კომედიას „ადამ და ევას“ ქუთაისის სცენის მსახიობის დათიკო მესხის მონაწილეობით.

*** **ფართლის ქარხანა.** იმავე გაზეთის, სიტყვით ტფილისში უნდა ამ ცოტა ხანში დააარსონ ვებერთალა ქარხანა ფართლების გამოსაყვანად. ამ საქმისათვის უკვე შეუგროვებიათ ურთ-ერთ შორის მილიონ-ნახევარი მანათი. ამ ამხანოგობაში რათქმა უნდა ადგილობრივი მდიდარი სოვდაგრები და ბაქოელი სომხები ურევიან.

*** **სახალხო თეატრი ტფილისში.** როგორც „ნ. ობ“ იუწყება ტფილისში განუზრახავთ სახალხო თეატრის დარბაზიააგონ, რისთვისაც უკვე მოუგროვებიათ ასორმოცდაათი თუმანი, ხოლო ადგილს თეატრისათვის სთხოვენ ქალაქს, რათა უსასყიდლოდ დაუთმოსო.

*** **საავადმყოფონი აფხაზეთში.** ჩერნომორის საგუბერნიო მმართველობა აპირებს ამ ცოტა ხანში საავადმყოფონი დააარსონ სოჩაში, ტუაფსეში და ყაბარდინკაში.

*** **ქალაქის გლეხთა მამასახლისის საქმე.** ბ-ნს გუბერნატორს წინადადება მიუცია პოლიცმეისტერისათვის—დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ ანგარიში ქალაქის გლეხთა მამასახლისს კინიევს და ამავე სამმართველოს ბუღალტერს ყორღანოვს იმ უწეს-რიგობის შესახებ, რომელიც რევიზიას აღმოუჩენია გამგეობაშიო.

ამავე დროს ბუღგალტერ ყორღანოვს საჩივარი მიუცია სამართალში, რომელშიაც ამბობს, რომ ქალაქის გლეხთა მამასახლისმა ცილი დამწამა და ქურდი დამარქვა საჯაროდაო. ამ საქმეზე თურმე გამოწვეულია ცამეტი მოწმე. საქმე უნდა გაირჩეს მეორე მომრიგებელ-სასამართლოში.

*** **გზის გახსნა ონსა და ქუთაისს შუა.** როგორც გაზ. «კავკაზ»-ს ატყობინებენ, ონსა და ქუთაისს შუა დიდის თოვლისა და ზვავებისაგან შეკრული გზა უკვე გაუხსნიათ.

*** **საბრეშუმო ბაზრობა-გამოფენანი.** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს, რომ ნება დართონ მას გამართოს ბაზრობა გამოფენა მეაბრეშუმეობისა სხვათა შორის დაბა ხონსა და ლანჩხუთში. ამ ბაზრობაზე იმის გარდა, რომ გამოფენილი იქნება სავაჭროდ აბრეშუმის ნაწარმოები, საჯარო კითხვა დარიგებაც იქნება გამართულიო.

*** **ბ. ბ. ევანგულოვის დამტკიცება ქალაქის თავად,** უკვე თურმე გათავებული საქმეა და როგორც გაზეთი «ნოვ. ობ.» იუწყება ტფილისში უკვე დეპეშა მოსულა პეტერბურღიდგან ევანგულოვის ქალაქის თავად დამტკიცებაზე.

*** **ბათომის ქალაქის გამგეობის კასის ამბავი.** 20 იანვრის წინა ღამით ბათუმში ბოროტ-გამზრახველთ ბათუმის ქალაქის გამგეობის კასის გაქურდვა მოენდომებიათ, რომელშიაც 8000 მანეთამდე ფული ყოფილა და აგრეთვე სხვა-და-სხვა ფასიანი ქაღალდები. დილით 10 საათზე გამგეობის ხაზინადარმა თურმე კასის გაღება მოინდომა, მაგრამ თუმცა ბევრი ეცადა, ვერას გზით ვერ გააღო. ბოლოს, ამ გარემოებით განცვიფრებულმა ხაზინადარმა კასას თვალიერება დაუწყო და კლიტეზე შენიშნა ახალ-ახალი ნაფხაჭნები; გარდა ამისა იატაკზე ლურსმნის მზგავსი რკინა დაინახა. აშკარა იყო, რომ კასა ეწვალებინათ ფულების მოსაპარავად. ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს პოლიციას და სასამართლოს. საქმის გარემოებამ აღმოაჩინა, რომ ამ ბოროტ-განზრახვის ასრულება მხოლოდ იმ პირთ შეეძლოთ, რომლებმაც კარგა იციან ოთახების კარებები და საზოგადოთ ყოველი წესრიგი დაწესებულებისა. ამიტომ გუმანი მიიტანეს გამგეობის დარაჯებზე, რომლებიც კიდეც შეიპყრეს. ამის შემდეგ სამ საათს ეწვალენ სლესრები და ექსპერტ-მეხანიკოსები და ძლივს გაალეს კასა. მეორე დილას შეამოწმეს კასა ქალაქის თავისა, ხალხის, პოლიცმეისტრის და სხვა პირთა თანადასწრებით და კასაში ხელუხლებლათ აღმოაჩინეს. („ჩერ. ვეს.“)

*** **სიყვარულის მსხვერპლი.** 18 იანვარს ბაქოში ერთი ახალგაზდა, სულ ოციოდე წლის თათარი მამედ ადიგეზალ-ოღლი, ვიღაც აკოპოვის ქალს სწვევია, რომელსაც ლამაზი ქალი ჰყოლია, და დედისათვისაც და ქალისათვისაც სიყვარული გამოუცხადებია. „აი როგორ მიყვარხარო!“ შესძახა, თურმე, მამედმა, ჯიბიდან უცებ ბებუთი იძრო და შიშით თავზარ დაცემულ ქალების წინ მუცელი გამოიფატრა. მამედი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მას მაშინვე შეუკერეს მუცელი; მაგრამ მისი მორჩენის იმედი აღარ აქვთ.

*** **დამის რაინდის შეპყრობა.** 21 იანვარს, დღისით 12 საათზე. ბათომში ბაზრის ქუჩაზე ახალგაზდა ქალი და კაცი, ალექსანდრე ბარკოვი და ანა აბუდინა ერთად მიდიოდნენ შინისაკენ. როცა რკინის გზის ლიანდაგს მიუახლოვდნენ, მათ ვიღაც უცნობი კაცი შეხვდა და უკან გამოედევნა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მარკოვი უცნობს მოუბრუნდა და ჰკითხა: რა გინდაო, მან უპასუხა: „არაფერიო“. როცა ზღვის ქუჩასთან მივიდნენ, აქ უცნობმა იძრო დანა და ბარკოვს მარჯვენა ფერდში დასცა. დანა დასცილდა და, მხოლოდ ცოტათი დასჭრა ბარკოვი, რომელმაც შეიპყრო უცნობი და პოლიციაში წაიყვანა. უცნობი ვიღაც ბერძენი აღმოჩნდა, გვარად დიმიტრი კოტოვი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ არც კოტოვი იცნობდა თურმე ბარკოვს და არც უკანასკნელი პირველს არავითარი შეტაკება არა ჰქონიათ ერთმანეთთან. და არც არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს: როცა ბრალდებულს ჰკითხეს, რატომ გინდოდა უცნობი კაცის მოკვლაო, მან უპასუხა მთვრალი ვიყავი და არაფერი მახსოვსო. დანა თოვლში ნახეს, იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა. დილით კოტოვმა შესცვალა ჩვენება და ალიარა, ბარკოვის დაჭრა იმიტომ მინდოდა, რომ ქალი უნდა წამერთმიაო.

*** ამ დღეებში პოლიციამ შეიპყრო სამსონ სიმონის ძე მალალაშვილი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა. მალალაშვილმა პირველად კუკიის სასაფლაოს დარაჯი დასჭრა და თავს ქ. განჯაში იმალავდა. წარსულს დღესასწაულებში ჩამოვიდა ტფილისში და უბედურება დაატრიალა, რომლის მსხვერპლიც ქ. ოზეროვისა და ბელოვზოროვი შეიქმნენ. ამ ამბავსაც გადარჩა და სადაღა მიიმალა. 22 იანვარს ნაბადში გახვეულმა ჩამოიარა ავჭალის ქუჩაზედ, მე-9 პოლიციის მოსამსახურემ იცნო იგი და უთხრა, პოლიციაში უნდა წამოხვიდეო. მალალაშვილმა იძრო ხანჯალი და შეუტია პოლიციელს. პოლიციელმაც ხმალი ამოიღო და მაშინ მალალაშვილი კირკას ქუჩაზედ თავქვე დაეშვა. პოლიციელიც უკან დაედევნა. ალექსანდრეს ქუჩაზედ სხვა პოლიციელებიც დახვდნენ წინ და გაიმართა ხმალ-ხანჯლის ტრიალი. პოლიციელთ, როგორც იყო, შეიპყრეს 6 ადგილას დაჭრილი მალალაშვილი.

*** **გიჟია თუ სულელი?** ამ სამი დღის წინად კუკიაში ერთი მეტად საკვირველი ამბავი მომხდარა. ვიღაც მოხელის შვილი პეტრე პორფიროვი 22 იანვარს, დილის 11 საათზე მისულა მარია ოგანეზოვის სადგომში, არსენალის ქუჩაზე და დამბაჩა უსროლია, რომლითაც მარიამ ოღანეზოვისა და მისი მეგობარი ქალი ეკატერინე ნადირაძისა დაუჭრია. ჭრილობა ორივე ქალისა მაინცა და მაინც საშიში არ არის. დამნაშავე შეუპყრიათ; როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, თურმე, დამნაშავეს უთქვამს: მე დაჭრილებთან მიველი ფულის სათხოვნელად, ერთი ჩემი ნაცნობი ქალის დასამარხავად, რომელიც ამ ორი დღის წინად გარდაიცვალაო და როცა ამათ უარი მითხრეს, დამბაჩა ვესროლეო.

*** **ნავთის შესანახი ადგილები.** ზღვათა სამინისტროს განზრახვა აქვს გამართოს ნავთის შესანახი აუზები ბალტიის ზღვის პირად ზოგიერთს ადგილებში, სახელდობრ: კრონშტადში, ლიბავაში, რეველში და სხ. ნავთი ზღვათა სამინისტროს ძალიან ბლომად დასჭირდება, რადგან გემებზე ნავთით გათბობის შემოღებას აპირებენ.

ეს გარემოება, რასაკვირველია, წინ წასწევს ბაქოს ნავთის წარმოებას.

*** **დასავლეთ-ციმბირის რკინის გზით სარგებლობა,** როგორც გაზ. „სინ ოტეჩესტვოს“ შეუტყვია, გადაეცემა სახაზინო რკინის გზების მმართველობას.

*** **სახალხო განათლების სამინისტროს** გადაუდვია 250 ათასი მანათი ზედ მეტ ხარჯად სახალხო განათლების გასაფართოებლად იმპერიაში.

*** **ს. ფარცხა-ნაყანევი** (ქვემო იმერეთი). **წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლეზე.** 11 იანვარს, ს. ფარცხა-ნაყანევის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დიდებულის მეფე ირაკლი მეორის ასის წლის შესრულებისა. თუმცა ასეთი წირვის და პანაშვიდის შესრულება თითქმის უჩვეულო და ახალი ამბავია საზოგადოდ იმერეთში, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო. შემდეგ წირვისა და პანაშვიდის შესრულებისა, სემინარიის სტუდენტმა—მღ. მამა ირაკლი ბაკურაძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელ... შიაც მოკლეთ გამოხატა ჩვენ წ... ნაპართა და კერძოდ დიდებული მ... ფე ირაკლი მეორის ... სი გმირული მოქმედება და ... ლითო გულ-შემატკივრობა რწმუ... ბულ სამეფოსადმი. შემდეგ მ... ირაკლი შეეხო ჩვენ აწმყო მდგომ... რეობას და მოკლეთ გამოხატა, რ... თუმცა დღეს ბედმა გვარგუნა მშ... დობიანი ცხოვრება, გარეშე მტერ... მოშორება, მაგრამ, რაც ამ დრო... უპირველესი ჩვენი ვალია, ვერ... იმას ვასრულებთ ჯეროვნათო. მამა ირაკლი შეეხო ჩვენში კერძ... შურიანობას, ერთმანერთის მტრო... ღალატს და შემდეგ გადავიდა სწა... ლა-განათლებაზე—შვილების აღზრ... დაზე და გამოხატა ჩვენში კიდ... დაცემული მდგომარეობა და მშო... ბელთა მოუწადინლობა შესახებ ხს... ნებული საგნისა. შემდეგ მამა ირ... კლიმ მოუწოდა ხალხს დიდებულ... მეფის ირაკლის მეორის ბრწყინვ... ლე სულს შევვედრებოდნენ.

*** **ს. მუხრანი.** (ქართლი). **წმ. ნინოობის უქმობა.** 14 იანვარს, ნ... ნოობას, მუხრანის წმ. მოწამის ქე... თევან დედოფლის ეკკლესიაში წი... რვა იქმნა შესრულებული ადგილო... ბრივ მღვდლის მ. გ. მარინოვი... მიერ. წირვაზე ბრძანდებოდ... ტფილისის გუბერნიის საერ... სკოლების ინსპექტორი ბ. პავლო... ვი. წირვის დროს გალობდნენ ად... გილობრივ სკოლის მოსწავლეებ... მასწავლებლის მათე იაკობიშვილი... ხელმძღვანელობით.

— **პანაშვიდი მეფე ერეკლეზე.** ამავე ეკლესიაში 11 იანვარს გა... დახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდ... ბრწყინვალე მეფის ერეკლე მეორის... სულის მოსახსენებლად.

მ. ი.

*** **ჭალადიდი** (სამეგრელო). **სკოლის გახსნა.** ძლივს ბედმა გაუ... ღიმა და ეღირსა ჭალადიდელ... სკოლა. შვიდს დეკემბერს მაზრის... უფროსი ბ-ნი ივ. ქავთარაძე და ს... ენუქიძე (ახალ-სენაკის ნორმალურ... სკოლის ზედამხედველი) ამობრძანდ... ნენ ჭალადიდში, რომელთაც მინ... დობილი ჰქონდათ სკოლისათვის მა... რჯვე ადგილი ამოერჩიათ და რომე... ლთაც ამოარჩიეს კიდეც აუდია-მა... მასახლისის და მრავალი ხალხის თა... ნადასწრებით.

სკოლას ოც თუმნამდე მიეცა შ... ნობისთვის სახემწიფო ფულიდა... მასწავლებელიც სახემწიფოთ უნდ... ღა ენიშნოსო, როგორც გაეგე თუ... ბ. ენუქიძისგან, თუმცა ხმა კი არი... ხალხში, რომ პირველ წელიწადს ხა... ზინა შეინახავს და მერე საზოგადო... ბამ უნდა აძლიოს მასწავლებლი... ჯამაგირიო. ასე თუ ისე, მაინც დი... დად სასიქადულო არს აქაურ ხალ... ხისთვის ამისთანა ფრიად სასარგებ... ლო მოვლენა. იმედი არის მერე... უპატრონებს ვინმე, რომ ა... ხალხი დაიხსნან შევიწროებისგან... რომ მასწავლებელს ისევ სხვა ს... ლობით ეძლიოს ჯამაგირი, თორე... ამ ისედაც დასუსტებულ ხალხს ... ლიან გაუჭირდებათ. სასურველია ... ლმა ჭალადიდელებსაც გაუღიმოს ბ... მან, რომ იმათაც ეღირსოთ თავ... ნთვის სკოლა, თორემ შეუძლებე... არის გაღმიდამ იარონ ბავშვებმა ... ვით გამოღმა ჭალადიდში, ხშირა...

...თო კვირაობით ისე იმატებს ხოლმე ...ალი, რომ ნავსაც ვეღარ ამუშავე...ნ, ისეთი შესაზარებელი სანახავია ...შუაში მდებარე დიდი რიონი, სადაც ...ამ ალაგას ერთს დროს გემებიც-კი ...დიოდნენ, თურმე. მაშასადამე, ...ვშვების გასვლა-გამოსვლა ყოვ...ად შეუძლებელი უნდა იყოს, და ...ლხი-კი გაღმა უფრო მეტიც, მე...ადრე აზნაურშვილობა. ღმერთმან ...ას იმათაც აუსრულდეს ნატვრა, ...ომ თავიანთი სკოლა ღირსებოდეს. ...ედიც არის ვისაც ჯერ არს ყუ...დღებას მიაქცევს და ამ დაუვიწ...არს საქმეს გაუკეთებს გაღმა ჭა...ადიდელებსაც, როგორც გამოღმა ...ლადიდელებს გაუკეთდათ სკოლის ...ოლის საქმე. ხალხი დიდათ მოხა...ული არის სკოლის დაარსებაზედ. ...ლის ძგერით მოელიან, თუ რო...ს დაიწყობენ სკოლის საძირკვე...ს ჩაყრას.

ნატო

** **ქუთაისი.** გადადებული ბენე...სი. უცნაური საქმეები ხდება ხან...-ხან ქუთაისში. გუშინწინ, 22 იან...რს, აქაურს თეატრში დანიშნული ...ო დამსახურებული არტისტ-ქალის ...რბარე ავალიშვილის ბენეფისი და ...სალოდნელიც იყო, რომ საზოგა...ება დაესწრებოდა, მაგრამ... წარ...იდგინეთ, ათიოდე კაცი არ მო...ლა და წარმოდგენა ნება-უნებ...ედ გადადვეს! რას ნიშნავს ნეტა ამბავი?

ბიბილო

** **შემოქმედი** (გურია). სკოლა. ...მეს სკოლიდან დავიწყებ, რადგანაც ...ი სათავეა გონებრივად ზნეობრი...ღობაც, კაცობრიობის განვითარების ...ტორიისა. ამას წინადაც გვქონდა ...ხსენებული, რომ აქ არსებული განყოფილებიანი სამინისტრო ...ლა იქმნა გადაკეთებული ორ...ასიანად და ის შენობა, რომე...ც სკოლისათვის საკმარისი იყო, ...ღარ აკმაყოფილებს მის მო...ვენილებას. მიუხედავად ამ დიდი ...ჭიროებისა, ჯერაც არ აგებულ...ლი შენობა, მაგრამ ამ სამიოდე ...ის წინად ერთხმად გადასწყვიტა ...ოგადოებამ ადრე მომავალში ამ ...მის დაგვირგვინება და იმედი უნ...ვიქონიოთ, რომ მომავალი სა...სწავლო წლისათვის შენობა მზად ...ება. ამასთანავე არ შემიძლია ...მტკიცულად არ აღვნიშნო ...არემოება, რომ მთავრობამ და...ჯილდოვა იმ მასწავლებელს, რომე...ც ღვაწლი და შრომა მიუძღო...ვენი ძმზოგადოების წინაშე. ეს ...კლისი მით უფრო შესამჩნევია, ... თუ სოფლად მაღალი სწავლით ...ურვილი არ ისურვებს მასწავლე...ობას,—ჭკვა და გონება მაინც უნდა ღალატობდეს, რომ შრო...სასურველი ნაყოფი მოიტანოს ...მომავალი ახალთაობის დაუწე...სპეტაკ გულის ფიცარზე აღ...ის მომისადმი სიყვარული და ...ყონებაში ჩასახოს ადამიანის ... ამ მხრით ჩვენი ყოფი...სწავლებელი მ—ძე არ დაი...ზენავს და მადლი მისთ...ხო.

...-საცავი. წიგნთ-საცავი ...გაზედ ... დაგვიბერდა და ...არები დაკეტილი უბ...ზოგადოებას. სწორედ ...უნარო, რომ ვერ გამოვიყენეთ თავ. კ. გურიელის თავდადებული შრომა და წიგნთ-საცავის საქმე ვერ დავაყენეთ სასურველ ნიადაგზე. მაგრამ დღეის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, მით უმეტეს, რომ მისი გამგეობა სხვა პირს მიუღია თავის თავზე.

ინჩინი

** **ფოთი.** სასიამოვნო ამბავი. წარსულს ზაფხულს ლექციების მოსასმენად გაგზავნილი იყვნენ ზოგიერთა მარჯვედ ცნობილი მასწავლებელნი, ქალნი და ვაჟნი ოდესის სასულიერო კურსებზედ, სადაც სხვათა შორის გაგზავნილი იყო ფოთის სამრევლო სკოლის ზედამხედველი ანასტასია კოტეტაშვილი, ნიშნად გამარჯვებისა, რომელიც გამოსაცდელ გაკვეთილებს თურმე აძლევდა ოდესის სამრევლო სკოლაში, წელს 15 იანვარს პირველი ატესტატი მიიღო ოდესიდამ და ოთხი თუმანი ფული საჩუქრათ სინოდიდამ. ეს მარჯვე ქალი აქ ფოთშიაც პირველ მასწავლებლად ითვლება და ყველასათვის მისაბაძი და ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს ამისთანა მოვლენა.

ნატო

** **დ. აბაშა** (სამეგრელო). „ზნისა“, ანუ ზნედის ექიმი. აგერ რამდენიმე წელიწადია, კადარის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი სიმონის ძე კაჭარავა საუცხოვოდ კურნავს და ანთავისუფლებს რაღაც მისივე მომზადებული დალაღევი წმლით ისეთ სნეულებას, რომელსაც „ზნეს“ ეძახიან. ცნობილია, რომ ეს ავადმყოფობა ყოველ ახალი მთვარის მობრუნებაზე უეცრად წააქცევს ადამიანს, „მოჯიხავს“ და უგრძნობლად ამყოფებს რამდენიმე საათს.

მკითხველებს, უეჭველია, გაეგონება, თუ რა უბედურება მოსდევს ასეთი სენით შეპყრობილს: ცეცხლში დაწვა, წყალში დახრჩობაც და მრავალი უბედურება. ხსენებული მღვდელი რამოდენიმე ბოთლი წამალით სამუდამოთ ჰკურნავს ამ სენით შეპყრობილს და საჭიროა, ხალხმაც იცოდეს ეს უებარი ექიმი და სხვა ჩვენმა ნასწავლმა ექიმებმა ყურადღება მიაქციონ და, თუ შეუძლიანთ გამოიკვლიონ თვით წამალი.

ჩანგი

** **ქუთაისი.** თამარ მეფის სასახლე ქუთაისთან, გეგუთში ერთი იშვიათი ნაშთთაგანია მეთორმეტე საუკუნის შენობათაგან მთელის დედამიწის ზურგზე და კაცი ყურადღების მიმქცევი არა ჰყავს, ისე ოხრად აქცევენ გარემო მცხოვრებნი: ზოგს წისქვილისათვის მიაქვს ქვა და ზოგსაც თავლისათვის. დღითი-დღე თითო კუბიკურ საჟენს აკლებენ ეს ბარბაროსნი. სასურველია, არქეოლოგიური კომისსია თავისს ზედამხედველს დანიშნავდეს, ან-და ახალ მაზრის უფროსს ბ-ნს პლეტნევს დაავალებდეს დაიცვას ეს ძვირფასი ისტორიული ნაშთი განადგურებისაგან.

** **დუშეთი.** წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლეზე. კვირას, 11 იანვარს, მღვდელმა მამა ხატიკაძემ გარდაიხადა პანაშვიდი სახელოვან მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად.

** **ზესტაფონი.** ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა წარსულ წელში. გიგზავნით ამასთანავე ცნობას თუ რა, და რამდენი ცალი, რუსულ-ქართულ გაზეთ ჟურნალები მოდიოდა წარსულს 1897 წ. დ. ზესტაფონში მოამბე:—5; კვალი—26; ჯეჯილი—8; კრებული—26; მწყემსი და პასტირ—150; დუხოვნიესტნიკ—111; კავკაზ—9; ნოვ. ობოზრ.—16; ტიფლ. ლისტ.—7; ბირჟევია ვედომოსტი—3; ნოვოე ვრემია—1; სვეტ—1; სინ ოტეჩესტვა—1; სელსკო ხოზიასტ. ვესტნიკ—3; სენატ. ვედომ.—10 რუსკია ვედომოსტი—1; ვესტნიკ ფინან.—1; ქივოპისნოე ობოზრ.—4; სუდებნაია გაზეტა—2; იურიდიჩ. გაზეტა—1; რუსსკიი პალომნიკ—1; სენატსკია ობიავლენია—13; ცერკოვ. ვედომ.—49; ნოვ—2; როდინა—5; ნივა—6; ვოკრ. სვეტა—4; ხრისტ. ჩტენიე—2; ეპარხიალნია ვედ.—1.

** **ქუთათურად.** ქუთაისის ბულვარდში ორი იმერელი შეხვდება ერთმანეთს.

— ბესარიონი ხო არსა შეგყრია აქანა?

— ასე გამეიმასქნა წახანა და გონია ქე გეიმასქნა—გავიდა.

— იმე, რაფრის კაცია ის კაცი, რას მიშობა!

— ჰო, რავა?

— რაღა რავა-რა—მე მეტი აღარა ვარ და, სტორეთ გამომალენჩა! ადამიანის სტომაქიდან რაფერ გამოვა იმდენი ტყუილი!?

— ტყუილი ბეჩა—მაგაზე არ მეგერიდება, ყოვლად წამხდარი კაცია.

— არ გავს ჩვენ პეტრეს.

— მმუჰ, ქე არ შეატოლა—პეტრე ყმაწვილი კაცია, ულაში აქ...

— არა, თუ დაჭირდა, პატარა იმანაც ქე იცის ხოვა.

— უვე, იცოცხლე—ისეთი პლუტია—შენგან მოწონებული.

— აჰა, ამ მოსესთანა კაცი კი არ იქნება... რო გეტყვის-გეტყვის, სიკვდილამდი არ იმასქნის.

— უო, მოსე კაი პატიოსანი ადამიანია შენ ნუ...

— ქე რო გითხარი ამას წინეთ, ის საქმე რო არ შეხდომოდა....?

— ჰო, ჰო, იმგენს რო უღალატა და ქეიმასქა... ჰე, დრო ამისთანა... თუ დაჭირდა იმისთანა კუდამელაა რომე...

— არა, გითხრა სიმართლე—კაცი თუ ხარ, ბარემ უნდა იყო—ე ჩვენი ის რომ, ვაჟო ნესტორი!..

— იცოცხლე, ის კაცი იყოს... პირიანი... სიტყვიანი.

— მარა ერთი საქმე ვერ მომწონს მე მისი.

— ჰო, ვიცი რაცხა მოგაგონდა.. ძაან უპირულობა მოუვიდა.

— ნიეტ, როგორც კაცური კაცი, დავით ყველას მირჩევნია მე, მარა... (ამ დროს ყურში ეტყვის).

— თფუი! მის კაცობას!! მის პირს!..

— იმ, ეგერ არ მიდის ბესარიონი! ბესარიონ, ბესარიონ!..

— ეცი, ეცი, არც შენა ხარ კაი შვილი.

## რედაქციისაგან

**ქუთაისში.** ანკე მას შვილს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**ზესტაფონში-** ქარცეცხლს. გამოგვიგზავნეთ აგრეთვე ცნობები თუ რამდენი ჟურნალ გაზეთები მოდის წელს ზესტაფონში და რამდენია თვითოეულის რიცხვი.

**აჭარაში.** ბნელ კალამს. თქვენი ერთი წერილი ჩვენდა უნებურად ვერ დაიბეჭდება.

## ლიტერატურული ახალი ამბები

შესანიშნავი ქადაგებანი ანტონ ჭყონდიდელისა (მთავრის ოტია დადიანის ძისა), როგორც ნამდვილად გავიგეთ, იბეჭდება, თურმე, ქუთაისში ი. ჭყონიას სტამბაში ყოვლად სამღვდელო ბესარიონ ეპისკოპოსის საფასით. ანტონ, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, ცნობილია, როგორც ღრმა მცოდნე თეოლოგი და შესანიშნავი მჭევრმეტყველ-მქადაგებელი მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა. ეჭვი არ არის, რომ მთელს გამოცემას სულ მოკლე ხანში დაიტაცებს ზნეობრივ საკითხავს მოწყურებული ქართველობა, მით უფრო, რომ ენა ქადაგებისა ფრიად მსუბუქია და ადვილ გასაგები.

აქვე მოგვყავს შინაარსი ამ „ქადაგებათა“: 1) ალსარებისათვის. 2) მეცნიერებისა წვრთისათვის. 3) სიძვისათვის. 4) მარხვისათვის. 5) სოფლის ამაოებისათვის. 6) ცოდვისაგან მოქცევისათვის. 7) მკვდართა აღდგომისათვის. 8) არა წმიდას გზასა ზედა უსვლელობისათვის. 9) ისმინე ცაო და ყურად იღე ქვეყანაო! ძენი ვშვენ და აღვამაღლენ, ხოლო მათ შეურაცხმყვეს მე. 10) მზაკვარებისათვის. 11) გულის-წყრომისათვის. 12) ყურისათვის. 13) ამპარტავნებისათვის. 14) განსაცდელთა მოთმინებისათვის. 15) სიყვარულისათვის. 16) მოწყალებისათვის. 17) განმკითხველობისათვის. 18) მღვდლობისათვის. 19) მონაზონებისათვის. 20) ნაყროვნებისათვის. 21) ვერცხლის მოყვარებისათვის. 22) უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი სუბუქ არს: 23) ცუდათ მეტყველებისათვის. 24) შეცოდებათა მიტევებისათვის. 25) სინანულისათვის. 26) სასოწარკვეთილობისათვის. 27) ლოცვისათვის. 28) მათთვის, რომელნი ჰგონებენ გრძელსა ცხოვრებასა და ჰყვნიან მოქცევად და სინანულად. 29) მათთვის, რომელნი ნაცვლად კეთილისა მიაგებენ ბოროტსა. 30) ქრისტეანობისათვის. 31) უღირსებისათვის. 32) ანგარებისათვის. 33) მცონარებისათვის. 34) მორჩილებისათვის.

## თეატრის მატიანე

**ტომსკი.** თავ. დიმიტრი გიორგის ძე თუმანოვის სცენაზე მოღვაწეობის 25 წლის იუბილეი. ამ სეზონში აქაურის თეატრის მოიჯარადრემ ნ. ი. კორსაკოვმა მოიწვია ახალი დასი, რომელშიაც მოჰყვა დიმიტრი გიორგის ძე თუმანოვი (არტისტი თუმანსკი). მოვაგონებთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ამ კაცმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო პირველად ქართულ სცენაზე და რამდენსამე წელს ემსახურა მას, რაც კარგად ახსოვს ჩვენს სახიქადულო არტისტებს ვლ. ალექსი-მესხიშვილს, ვ. აბაშიძეს, კ. ყიფიანს, კ. მესხსა და სხვებს. აღვნიშნავთ მოკლედ ბ. თუმანოვის მოღვაწეობას.

72—73 წლებიდან, ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნის დროს, ბ. თუმანოვი, როგორც სცენის მოყვარე, იღებს მონაწილეობას შინაურს საღამოებზე სხვა-და-სხვა ოჯახებში 76—76 წლებში კი, როდესაც წინაგრძნობა ეუბნება მას, რომ მისი მომავალი მოღვაწეობის სარბიელი სცენაა, სწავლას თავს დაანებებს, ჩაეწერება მაშინდელ ქართულ დრამატიულ დასში და დაჰყოფა ქართულ სცენაზე 82—83 წლებამდის როდესაც სრულიად გადადის რუსულ სცენაზე. თუ რამდენად პირნათლად ემსახურა ეს კაცი ჩვენს სცენას, ამისი დაფასება მიგვინდვია მის ყოფილ თანამშრომელ-არტისტების და საზოგადოებისადმი. საჭიროდ არ მიგვაჩნია იმისი აღწერა, თუ რომელ ქალაქში რა დროს და რომელ დასში იღებდა ბ-ნი თუმანოვი მონაწილეობას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის რუსეთის ყველა კუთხეებში ყოფილა სცენაზე და ყველგან საზოგადოებას ღირსეულადაც დაუჯილდოებია, რასაც ჰმოწმობენ ბევრი ძვირფასი ნივთები, საჩუქრად მიღებული სხვა-და-სხვა ადგილას. რაც შეეხება იმას, თუ როგორი ყურადღება დაიმსახურა ბ. თუმანოვმა როგორც არტისტმა, აქ, მართალი უნდა ვსთქვათ, მას საზოგადოების თვალში, არტისტებს შორის, პირველი ადგილი უჭირავს. საჭიროა მხოლოდ გადაათვალიეროთ გაზეთები «ციმბირის ფურცელი,» „ციმბირს მოამბე», «ციმბირის ცხოვრება» და «ენისეი», რომ მთელი წარმოდგენა იქონიოთ, თუ რა ხელოვნებით და ცოდნით ასრულებს ეგ ნიჭიერი არტისტი თავის როლებს. ერთხელაც არავის უსაყვედურნია, რომ თუმანსკიმ დღეს თავისი როლი სუსტად აასრულაო. როგორც კომიკი, ბ. თუმანოვი გამოდის ოპერეტკებში და კომედიებში და ხშირად მღერის კუპლეტებს „მძინარა“ ქალაქის გამგეობის და სხვა-და-სხვა დაწესებულების შესახებ იმ საღამოს თეატრი ხალხით გაჭედილია, თუ განცხადებაში მოხსენებულია, რომ დღეს თუმანოვი კუპლეტებს იმღერებსო. ასე გასინჯეთ, ქუჩაშიაც კი ეძახიან „თუმანსკი, კუპლეტები იმღერე“-ო! განსაკუთრებით ეგ ნიჭიერი კომიკი უყვართ სტუდენტებს. წარმოიდგინეთ კულისებშიაც კი არ ასვენებენ მას, რომ გრიმი გაიკეთოს, სულ თვალებში უცქერიან. მოასწრებენ სადმე თუ არა, ხელებზე აყვანილი და თან „ვაშა-ვაშას“ ძახილით შეჰყავთ თეატრში და გამოჰყავთ. 4 ნოემბერს მისი ბენეფისი იყო, რომელმაც შესამჩნევად ჩაიარა. არც ერთს არტისტს თავის ბენეფისში იმდენი ძვირფასი საჩუქრები არ მიუღია როგორც მან. ამასთანავე დასის დირექტორსაც ძლიერ უყვარს ბ. თუმანოვი. თითონვე სთხოვა მას, შენი 25 წლის იუბილეი აქ გარდაიხადო გირჩევნია, ვიდრე სხვაგან, რადგან აქაურ საზოგადოებას ძლიერ უყვარს და ამასთანავე ტომსკი უნივერსიტეტიანი ქალაქიაო და დაუნიშნა იუბილეი და მეორედ ბენეფისი ყველიერის ორშაბათისთვის (თებერვალია) საზოგადოებაც ემზადება, რომ დანიშნულს დღეს ღირსეულად შახვდეს პატივცემულ არტისტის დღესასწაულს და ამასთანა-

ვე სთხოვოს მას, რომ სამუდამოდ ტომსკის სცენაზედ დარჩეს.

სასურველია, რადგან ბ. თუმანოვს ქართულ სცენაზე დაუწყია მოღვაწეობა და, უკეთ როგორ ვსთქვათ ქართულ სცენაზედ გამოზრდილია, ჩვენმა საზოგადოებამ და კერძოთ მისმა ყოფილ არტისტ-ამხანაგებმა ეს მომავალი დღესასწაული მიულოცოს და მითი თანაგრძნობა გამოუცხადოს.

სტუდ. ეფრემ სალაკვაძე

---

## ყურ-მოკრული საუბრები

—

საახალწლო ვიზიტები. მოხუცებული მამა ეუბნება მალზე გაჟღენთილს ვაჟიშვილს:

— რამდენი ვიზიტი მოასწრე დღეს, კოწია?

— სწორეთ თორმეტნახევარი, მამაჩემო!

— როგორ თორმეტ ნახევარი? ეგ ნახევარიღა რა არის?

— ეს ის არის, მამაჩემო, რომ თორმეტ ადგილას ვიყავი, სადაც კარგად მაჭამეს და მასვეს, ხოლო მეცამეტე ადგილას არა მაჭამეს რა და ერთი ჭიქა ღვინოღა შემთავაზეს, მაშასადამე დღეს თორმეტ ნახევარი ვიზიტი მოვასწრო!

არ გეშინიან! რა იყო კაცო, რას ჩამოგიშვია ცხვირი?

— სიდედრი ავადა მყავს, უკანასკნელ დღემდეა მისული.

— ერთი მითხარი რომელი ექიმი არჩენს?

— აი ის ტრდატ ტრდატიანცი.

— მაშ ფიქრი ნუ გაქვს. სიდედრს ისე გაგაშორებს როგორც შარშანდელს თოვლს. ტრდატი ჩემს სიდედრსაც სწამლობდა და ერთს კვირაში აზარგა ამ ქვეყნიდან.

— მართლა?

— მე და ჩემმა ღმერთმა. ნუ გეშინიან ასწყინად იყავ!

ზედ არ ეტყობა! ჩემი შვილი უთუოდ ადვოკატი (ვექილი) იქნებაო, ვვეშურობდა ერთი ახალგაზდა დედაკაცი.

— მერე რა იცი, რომ ადვოკატი გამოვა, მიუგო ქმარმა.

— აბა შეხვან არ მიკვირს, განა ვერ ხედავ, სიტყვას ვერ იტყვის, რომ ტყუილი არა სთქვას, ნამდვილი სიცრუის გუდაა და ადვოკატები ხომ სულ სიცრუის ტიკჭორები არიანო!

---

## წვრილი ამბავი

—

პალატინზე კეისართა სასახლეში იტალიელ პროფესორის მარუკის გამოურკვია ერთი ფრიად საყურადღებო ბერძნული წარწერა. იმ დროს ქრისტიანეთ სასაცილოთ იღებდენ, რომ მათი ქრისტე ჯვარზე მჯდარი შევიდა იერუსალიმს. არქეოლოგთა ამ შემთხვევის გამოაშკარავებამდე ეს წარწერა ნაწილობრივ იყო ცნობილი „ვირული წარწერა“ სახელით. ახლა ნაპოვნი წარწერა მარუკის მიერ პასუხია ამ «ვირულ წარწერისა“.

—

ათასის წლის იუბილეი ძეხვისა (კუპეტი). გერმანიამ ეხლახან იდღესასწაულა ათასის წლის იუბილეი ძეხვისა. ძველეს დროს მეხვეებს ამზადებდნენ

ცხვრის სისხლისა და ქონისაგან. ხოლოდ 998 წლიდგან დაიწყეს ნემცებმა მეხვის კეთება ღორის ხორცისაგან. 1500 წლიდგან კი ფრანკფურტის მეხვებმა იმდენად გაითქვეს სახელი, რომ მას აქეთ ნემეცურ მეხვებმა დაირჩინეს პირველობა და ღირსიც გახდენ იუბილეისა.

—

რომანიული ქორწინება. ამ ახლო ხანში ლიკერპულში მოხდარა ერთი რომანიული ქორწინება. ახალგაზდა ჭარიბრადი-ხუნტ კარგა ხანს ემსახურებოდა თურმე ზღვაზედ; ჯერ უბრალო მუშა იყო გემზე, იუნგი, შემდეგ ეცადა და კაპიტნობაც იშოვა. იმავ მასწავლებელთან რომელთანაც ჭარი-ბრადი-ხუნტ იძენდა ზღვის მეცნიერებას, ერთი ახალგაზდა ერნესტინა ბრიუსიც სწავლობდა და ბევრს ეცადა, რომ კაპიტნობა ეშოვა, მაგრამ სავაჭრო პალატის მთავრობამ მოუხერხებლად დაინახა ქალისათვის კაპიტნობის ხარისხი მიეცა. და რაკი კაპიტნობა ვერ იშოვა, კაპიტნის ცოლობას ხომ ვერ ვინ დაუშლიდა გაბა სიყვარულის მავთულები, გაჭყვა ცოლად ახალგაზდა კაპიტანს ჭარიბრადის და ახალგაზდა ჯვარ-დაწერილნი გაისტუმრეს ზღვაში.

# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის

გამოცემანი

(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . . 2—50

თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . „—80

იგივე მშვენიერის ყდით . . 1—25

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . „—15

ხალხური ზღაპრები I ნაწილი „—30

იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . . 2—50

იგივე ტომი III . . . . 1—„

იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . . . 1—60

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . 3—„

ჩანგი . . . . . . . . 1—„

სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . . „—20

თხზულებანი აკაკისა, ტომი I 1—„

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . 2—50

იგივე ტომი II . . . . . 1—„

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . 2—50

არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . „—25

სიბრძნე-სიცრუე, მისივე . „—75

იგივე კარგს ქაღალდზე . . 1—50

სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . . 1—50

თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . . 1—„

იგავ-არაკნი, მისივე . . . „—20

ღვინის დაყენება, პროფესორის პ. პეტრიაშვილისა . . . 2—50

აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში თ. ა. ვახ.-მე ჯორბელიანისა . . . . . „—25

(100—45)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на ежедневную

политическую и литературную газету

# „НАРОДЪ“

на 1898 годъ

*(второй годъ изданія).*

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ — ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

Подписная цѣна газеты понижена до **ДЕСЯТИ** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Посвящая свое изданіе, главнымъ образомъ, разработкѣ текущихъ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа, редакція надѣется, что значительное пониженіе цѣны газеты будетъ способствовать доступу ея въ болѣе обширный кругъ читателей и поведетъ, слѣдовательно, къ болѣе широкому обмѣну мыслей между людьми слова и дѣла и ихъ единенію на пользу общую.

## Подписная плата:

| | На 12 м. | 6 мѣс. | 3 мѣс. |
|---|---|---|---|
| *Въ Россіи,* повсемѣстно, съ пересылкою и доставкою | 10 р. | 5 р. | 2 р. 50 к. |
| *За границею,* въ государствахъ почтоваго союза . . | 14 « | 7 » | 3 » 50 » |

*Подписка принимается:*

Въ С.-Петербургѣ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

Въ Москвѣ: въ конторѣ биржеваго маклера И. Ю. Щульца (старый гостиный дворъ).

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращатся въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

NB. Гг. годовые подписчики получатъ отдѣльнымъ изданіемъ всѣ вышедшія въ русскомъ переводѣ и напечатанныя въ газетѣ «Народъ», до 1-го января 1898 года, главы романа Эмиля Золя «Парижъ».

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.**

(10—6)

---

საფქვავი

# წისქვილები

მზადდება ინჟინერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ

# МЕЛЬНИЦЫ

паровыя, водяныя, конноприводныя

**изготовляетъ какъ специяльность машино-строительный заводъ инженеровъ**

**Яралова и Алиханова**

*въ Тифлисъ,*

Александровская улица, собств. домъ

(100—91)

---

# ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ სურს შესწავლა

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,;
3) **Арифметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

## ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52[illegible] задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—94)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1898 г. на

# СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ,

журналъ литературно-научный и политическій.

*Въ первыхъ книжкахъ „Сѣв. В.“ 1898 г.* будутъ напечатаны повѣсти **В. Микуличъ, В. Немировича-Данченко, О. Шапиръ;** „Современная наука“ **Канпентера,** съ введеніемъ гр. **Л. Н. Толстого,** „О Губернаторахъ“ прив.-доц. **В. Гесенна,** „Проектъ уголовнаго уложенія“ проф. **И. Фойницкаго,** „Мицкевичъ и Русское Общество“ **В. Чуйко,** „Рабочее законодательство въ зап. Европѣ“ **Н. Райхесберга** и мн. др.; въ приложеніи къ журналу будетъ данъ переводъ книги проф. **Штаммлера:** „Хозяйство и право съ точки зрѣнія матеріалистическаго пониманія исторіи“.

**Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:**

Н. Арефьевъ, К. Бальмонтъ, проф. Ѳ. Батюшковъ, П. Боборыкинъ, П. Рейнбергъ, А. Волынскій, Н. Геренштейнъ, прив.-доц. В. Гессенъ, П. Гнѣдичъ, М. Горькій, Н. Дружининъ, А. Каменскій, Н. Карабчевскій, В. Каренинъ, проф. А. Кирпичниковъ, А. Коптяевъ, Б. Корженевскій, Котъ-М[illegible], М. Лохвицкая, К. Льдовъ, Е. Лѣткова, В. Микуличъ, Н. Минскій, [illegible] Немировичъ-Данченко, Вл. Немировичъ-Данченко, Ф. Нефедовъ, проф. Д. Овсянико-Куликовскій, проф. И. Оршанскій, М. Петровъ, А. Рейнгольдтъ, Л. Саломэ, проф. В. Сергѣевичъ, С. Смирнова, А. Субботинъ, П. Тверской, гр. Л. Н. Толстой, проф. А. Трачевскій, М. Чайковскій, В. Чуйко, О. Чюмина, О. Шапиръ, В. Шенрокъ, А. Шеллеръ, проф. Л. Шепелевичъ, В. Ширковъ, проф. И. Фойницкій, К. Фофановъ, проф. Н. Холодковскій, І. Ясинскій, А. Эртель и мн. др.

Въ 1898 г. въ «Сѣв. В.» напечатаны беллетристическія произведенія гг. **П. Гнѣдича, М. Горькаго, ота-Мурлыки, Вл. Немировича-Данченко, С. Смирновой, В. Ширкова, І. Ясинскаго** и др., статьи гг. **Н. Дружинина, Н. Карабчевскаго,** проф. **А. Кирпичникова,** проф. **Д. Овсянико-Куликовскаго,** проф. **И. Оршанскаго,** проф. **В. Сергѣевича,** проф. **А. Трачевскаго, М. Чайковскаго, В. Чуйко,** проф. **Л. Шепелевича,** проф. **Е. Шмурло** и мн. др.

**Начиная съ майской книги 1897 г. „Сѣверный Вѣстникъ“ издается**

**БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ**

Съ облегченіемъ условій изданія, въ виду снятія съ журнала предварительной цензуры, редакція „Сѣвернаго Вѣстника“ желаетъ расширить провинціальный отдѣлъ и проситъ лицъ, имѣющихъ по тому возможность, доставлять матеріалы, пригодные для обработки въ областномъ отдѣлѣ, а также самостоятельныя замѣтки и корреспонденціи касательно явленій мѣстной жизни, текущихъ интересовъ мѣстнаго общества, народнаго образованія, дѣятельности губернскихъ и уѣздныхъ земствъ, всевозможныхъ общественныхъ начинаній и т. п.

**Подписка принимается:** во всѣхъ извѣстныхъ книжн. магаз. столицъ и провинцій. **Главная контора:** Спб., Б. Московская, д. 11, въ **Москвѣ**—въ кон[illegible] **Н. Печковской,** Петровскія линіи.

| Условія подписки: | Годъ: | На полгода: | На 3 мѣс.: | Одинъ мѣс.: |
|---|---|---|---|---|
| Для иногородн. съ перес. | 12 р. | 6 р. — к. | 3 р. — к. | 1 р. |
| Въ Спб. съ дост. . . . | 11 » | 5 „ 50 » | 2 » 75 „ | 1 » |
| Для заграничныхъ. . . | 14 » | 7 „ — » | 4 » — „ | |

Для казенныхъ и общественныхъ учрежденій допускается подписка въ **кредитъ** (при подпискѣ въ Гл. Конторѣ); также и для частныхъ лицъ, состоящихъ на службѣ—за ручательствомъ гг. казначеевъ.

Пробный № высылается за 28 к. (марками). Новые подписчики получатъ безплатно первыя части (напечат. въ 1897 г.) истор. ром. Генр. Сенкевича «Крестоносцы» который продолжится печатаніемъ въ 1898 г.

(12—12) Редакторъ-издательница **Л. Я. Гуревичъ.**

---